**თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის**

**სხდომის ოქმი №2**

თბილისი, 2 სექტემბერი, 2025 წ.

სხდომა დაიწყო: 17:00 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- პაატა სალია – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- ლანა მორგოშია – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- მიხეილ დუნდუა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
- გრიგოლ გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- ლევან ღირსიაშვილი – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე;
- ნინო ენუქიძე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე;
- ნინო თანდილაშვილი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
- მზია გიორგობიანი – საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;
- ავთანდილ კოჭლამაზაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;

- ნატო ზაალიშვილი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- გიორგი შარაბიძე – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- ბექა ზეგარდელი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის ნაცვლად;
- გიორგი ტაბატაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- ქეთევან გოგელაშვილი – კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი კულტურის მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- ლევან ჩარგაზია – სპორტის სამინისტროს იურიდიული სამსახურის უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს სპორტის მინისტრის მოადგილის ნაცვლად.

**კომისიის სამდივნოს წევრები**:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- მარიამ ნიშნიანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

**მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:**

1. გიორგი სანტურიანი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის უფროსი/ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

**ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:**

- დანიელ დავითაშვილი – ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე;
- გრიგოლ გაგნიძე – ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“;
- მაია ხარაძე – ა(ა)იპ „მასმედიისა და უფლებების დაცვის ცენტრი“;
- შორენა მირცხულავა – ა(ა)იპ „ასოციაცია თავისუფალი თაობა“;
- დავით ლილუაშვილი – ა(ა)იპ „დემოკრატიისა და უფლებების დაცვის ცენტრი“.

**პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:**

- დავით მათიკაშვილი – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“;
- გიორგი ლილუაშვილი – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება – პარტია „საქართველო“;
- ირაკლი ფხალაძე – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“;
- ჯონი ტორჩინავა – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გახარია საქართველოსთვის“;
- შოთა მაქაცარია – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა პაატა სალიამ, სხდომის გახსნის შემდგომ კომისიის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა;
2. მედიამონიტორინგის საფუძველზე იდენტიფიცირებული საკითხების განხილვა;

3. კითხვა-პასუხი;
4. სხდომის დახურვა.

ბატონმა პაატა სალიამ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ მიმდინარეობს სხდომის აუდიოჩაწერა სხდომის ოქმის სათანადო დონეზე მომზადების მიზნით. ამის შემდეგ მან განაცხადა, რომ რამდენადაც წინა სხდომაზე დამსწრე ერთ-ერთმა პირმა ითხოვა უწყებათაშორისი კომისიის დებულება, იგი მატერიალური სახით ხელმისაწვდომია სარეგისტრაციო მაგიდასთან და მსურველებს შეუძლიათ, გაეცნონ მას; ამას გარდა, აღნიშნული დებულება, რომელიც დამტკიცებულია იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე.

შემდგომ კომისიის თავმჯდომარე, დღის წესრიგის შესაბამისად, გადავიდა მედიამონიტორინგის საფუძველზე იდენტიფიცირებული საკითხების განხილვაზე. ბატონმა პაატამ აღნიშნა, რომ ბოლო ორი დღის განმავლობაში კომისიაში წარმოდგენილი საკითხები ვერ მოხვდებოდა 2 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგში და განხილული იქნება მომდევნო სხდომაზე.

მედიამონიტორინგის საფუძველზე იდენტიფიცირებული პირველი საკითხი შეეხებოდა ტელეკომპანია „ფორმულას" Facebook გვერდზე გავრცელებულ ინფორმაციას, რომელშიც გიორგი ახობაძე საუბრობს არჩევნების შესაძლო გაყალბების ერთგვარ სქემაზე პირადი ნომრების გამოყენებისა და სხვადასხვა უწყების ჩართულობის მეშვეობით. ამ საკითხზე სასაუბროდ ბატონმა პაატამ სიტყვა გადასცა ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ გიორგი შარაბიძეს (ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე). ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ მსგავსი თეორიული წიაღსვლები მრავლად იქნა ნანახი ბოლო 1 წლის განმავლობაში; უამრავი ამგვარი თეორიის შეთხზვა შეიძლება, თუმცა, ამ ყველაფერს სჭირდება მტკიცებულებები; ინფორმაციაში ნახსენებია, თითქოს ცესკო-ს შეუძლია, ვინმეს გადასცეს საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების პირადი ნომრები თუ მონაცემები, რაც, უბრალოდ, გამორიცხულია, პირველ რიგში, იმიტომ, რომ საარჩევნო ადმინისტრაციას მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით შეუძლია, გახსნას სიები და ნახოს, ვინ მიიღო არჩევნებში მონაწილეობა და ვინ – არა, შესაბამისად, ცესკო-თვის იმთავითვე უცნობია, არჩევნების დღეს რომელი ამომრჩეველი იმყოფება ქვეყანაში და რომელი – საზღვარგარეთ; ცესკო-ს აქვს

ამომრჩეველთა ერთიანი სია, წინასწარ იმის მონიტორინგი და თქმა არავის შეუძლია, თუ რომელი ამომრჩეველი გამოცხადდება ან არ გამოცხადდება საარჩევნო უბანზე; ამგვარი რამ აბსოლუტურად გამორიცხულია იმ ტექნოლოგიური და სხვადასხვა ტიპის დაცულობის მიხედვით, რაც საარჩევნო ადმინისტრაციაში წლებია დანერგილია. ბატონი გიორგის თქმით, მსგავსი ტიპის ინფორმაციები ვრცელდება იმ მიზნით, რომ მომავალში როგორღაც დისკრედიტებული იყოს ამომრჩეველთა სია და საარჩევნო პროცესი. ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილემ, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის ერთ-ერთმა ხელმღვანელმა პირმა, სრული პასუხისმგებლობით განაცხადა, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია კანონის სრული დაცვით გადასცემს კანონით გათვალისწინებულ მხარეებს (პოლიტიკურ პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები) ამომრჩეველთა სიის საჯარო ვერსიას, სადაც ამომრჩეველთა პირადი მონაცემები არ არის მითითებული და, შესაბამისად, ამით ოპერირება არავის შეუძლია.

ზემოაღნიშნულ საკითხზე სასაუბროდ სიტყვა გადაეცა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელს, ბატონ ბექა ზეგარდელს (საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილის ნაცვლად), რომელმაც განაცხადა, რომ წინა არჩევნების შემთხვევაშიც არაერთხელ ყოფილა მსგავსი ბრალდებები და რუტინულად დაუსახელებიათ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური; სინამდვილეში ამას რაიმე ობიექტური საფუძვლები არ გააჩნია. ეს განცხადებები წარმოადგენს მხოლოდ ვარაუდებს, რადგან განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ არცერთი ფაქტი ან რაიმე მტკიცებულება. შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, რაიმე რეაგირება განახორციელოს მსგავს შემთხვევებში; ეს ყველაფერი, ძირითადად, არის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დისკრედიტაციის მცდელობა.

ამის შემდეგ სიტყვა მოითხოვა ბატონმა ჯონი ტორჩინავამ (პარტია „გახარია – საქართველოსთვის"). მის თქმით, პარტია, რომელსაც იგი წარმოადგენს, არის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი და მოითხოვა უწყებათაშორის კომისიაში სათათბირო ხმის უფლება. მან ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები, კერძოდ, ამომრჩევლის ვერიფიკაციის აპარატი, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს იმას, რომ სათანადოდ განხორციელდეს თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო ხმის უფლება, მაგრამ ამავე დროს ტოვებს მანიპულაციის სივრცეს შესაბამისი

პოლიტიკური ნების ან ბნელი სურვილის მქონე აქტორისთვის, რომ განახორციელოს გარკვეული მანიპულაციები, როგორიცაა, მაგალითად ე.წ. კარუსელი. ბატონი ჯონის თქმით, ამისთვის პარტია „გახარია – საქართველოსთვის“ რეკომენდაციით მიმართავს ცენტრალურ საარჩევნო კომისიისას, მიიღოს დადგენილება, რომლის თანახმადაც, შესაბამისი მონაცემთა სუბიექტისთვის ხელმისაწვდომი გახდება არჩევნების დღეს ვერიფიკაციის აპარატში აკუმულირებული ისეთი სახის ინფორმაცია, როგორიც არის არჩევნებზე გამოცხადება/არგამოცხადებისა და გამოცხადების დროის შესახებ, ისევე, როგორც თითოეული ამომრჩეველი ამოწმებს კონკრეტულ ინფორმაციას შესაბამის პლატფორმაზე, თუ რომელ საარჩევნო უბანზე არის რეგისტრირებული. მისი თქმით, ეს არ წარმოადგენს არანაირ ტექნიკურ ან სამართლებრივ სირთულეს, მით უმეტეს, როდესაც ყველა ადამიანს აქვს უფლება ფლობდეს საკუთარ თავზე არსებულ იმ ინფორმაციას (თუნდაც პერსონალურს), რომელიც ინახება შესაბამის სახელმწიფო ორგანოში; ამგვარი მიდგომა უფრო მეტ ნდობას დააბრუნებს ამომრჩეველში, რათა გამოცხადდეს არჩევნებზე და გამოიყენოს მისთვის მინიჭებული კონსტიტუციური უფლება.

ბატონი ჯონის საპასუხოდ ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ ზემოაღნიშნულ შემოთავაზებას ცესკო-ს დადგენილება ვერ დაარეგულირებს; დადგენილება არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი და ორგანული კანონით მოწესრიგებულ ურთიერთობებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ვერ შეცვლის. ამასთან, ბატონმა გიორგი შარაბიძემ (ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) აღნიშნა, რომ ამომრჩევლის მისვლის დროს ცესკო-ს ტექნოლოგია არ აფიქსირებს, სწორედ იმ უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რომ ამომრჩევლის მისვლის დრო და ბიულეტენის ჩაგდების დრო როგორღაც არ იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან. მან პარტიის „გახარია – საქართველოსთვის“ წარმომადგენელს მოუწოდა, გაეცნოს საარჩევნო ადმინისტრაციის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ აუდიტის დასკვნას, რომელიც ჩატარდა ამერიკული დამოუკიდებელი კომპანიის მიერ და მიიღოს დეტალური ინფორმაცია, თუ რა შეუძლია შესაბამის ტექნოლოგიას და რა – არა, რა არის დადასტურებულად გამორიცხული და ა. შ. ბატონი გიორგის თქმით, არც კი არსებობს სამართლებრივი საფუძველი, რომ ზემოაღნიშნულის მსგავს საკითხებზე იყოს საუბარი; ამასთან, საოცარია, ზოგადად, მიდგომა, როდესაც, ერთი მხრივ, საუბარია იმაზე, თითქოს მელნის გამოყენვამ არჩევნების ფარულობის

პრინციპი დაარღვია და, მეორე მხრივ, ითხოვდე, გასაჯაროვდეს, რომელმა ამომრჩეველმა რომელ კონკრეტულ დროს მიიღო არჩევნებში მონაწილეობა.

რაც შეეხება პარტიის „გახარია – საქართველოსთვის“ წარმომადგენლის იმ მოთხოვნას, რომ უწყებათაშორის კომისიაში მისი პარტია სარგებლობდეს სათათბირო ხმის უფლებით, ბატონმა პაატა სალიამ განმარტა, რომ კომისიის საქმიანობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობენ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები პოლიტიკური პარტიები, აგრეთვე, ერთჯერადად – სხვა პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლები, რომლებიც კომისიას აწვდიან საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ ინფორმაციას იმ სხდომაზე, რომელზედაც შესაბამისი საკითხი განიხილება; რამდენადაც მხოლოდ ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეიძლება ჰქონდეთ პარტიებს სათათბირო ხმის უფლება, შესაბამისად, ზოგადად, სათათბირო ხმა პარტიას „გახარია – საქართველოსთვის“ ვერ ექნება.

არჩევნების შესაძლო გაყალბებასთან დაკავშირებით გიორგი ახობაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა ბატონი დანიელ დავითაშვილი (ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე). მისი თქმით, ზემოაღნიშნული განცხადება არის აბსურდი, რადგან იგი მრავალი წელია, აკვირდება არჩევნებს და ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს არჩევნების შესაძლო გაყალბების სცენარებთან არანაირი კავშირი არ აქვთ.

მედიამონიტორინგის საფუძველზე იდენტიფიცირებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა გავრცელებულ ინფორმაციას და საუბარი იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გაწეულ ხარჯებზე, კერძოდ, სხვადასხვა საოლქო საარჩევნო კომისიაში კვებით ხარჯებზე, ბატონმა პაატამ სიტყვა გადასცა კვლავ ცესკო-ს თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ გიორგი შარაბიძეს.

მომხსენებლის განმარტებით, „ტვ პირველის“ გასული სიუჟეტი არის მანიპულაციური და ეს არ არის პირველი შემთხვევა; ამ კონკრეტული მაუწყებლისთვის ცესკო-ს 5 საქმე აქვს მოგებული მათსავე მედიარეგულირების საბჭოში და ეს 5 საქმე მოიცავდა ან დეზინფორმაციას, ან ტყუილს, ან გადაუმოწმებელ ინფორმაციას და ა. შ. ერთი მაგალითი,

რისი გახსენებაც შეიძლება, არის ის, რომ ეს კონკრეტული ტელეკომპანია ცესკო-ს აბრალებდა 145 მილიონი ლარის მანქანების შესყიდვას, როცა მთელი ინსტიტუციის წლიური ბიუჯეტი იყო 75 მილიონი ლარი. უშუალოდ ახლანდელ ინფორმაციასთან მიმართებით, ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში ცესკო-მ მიიღო არჩევნების წლის სამოქმედო გეგმა, სადაც ყოველი თვე, ყოველი კვირა და ყოველი დღე გაწერილი იყო იმ მზადების პროცესისთვის, რაც აუცილებელია არჩევნების ორგანიზებისთვის და არა მხოლოდ ჩატარებისთვის, რადგან არჩევნები არ არის მხოლოდ ერთი დღე და ამას წინ უძღვის ძალიან დიდი მზადება; ინფორმაციაში მოხსენიებული თანხები ამოკრებილია არა დახურული წყაროებიდან, არამედ თავად ცესკო-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციიდან და მანიპულაციურად გამოყენებულია იმგვარად, თითქოს საკვები პროდუქტები იყოს ფუფუნების საგნები; საქმე შეეხება თვეების განმავლობაში ჩატარებულ ღონისძიებებს, მაგალითად, საერთაშორისო კონფერენციას, რომელსაც ესწრებოდა 22 ქვეყნის ასამდე წარმომადგენელი; პროექტს „არჩევნები და ელექტრონული ტექნოლოგიები", რომელიც ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართა და მასში მონაწილეობდა 4 900-მდე მონაწილე; საერთო სასამართლოების გადამზადების ტრენინგს, რომელშიც მონაწილეობდა 80-მდე მოსამართლე; ასევე, ტრენერთა ტრენინგს, ანუ იმ ადამიანთა ტრენინგს, რომელთაც უნდა გადაამზადონ 40 000-მდე საარჩევნო მოხელე და ახლა უკვე იმათი გადამზადების მეოთხე ეტაპი მიმდინარეობს, რომელთაც უნდა მიიღონ ამომრჩეველი და გაუწიონ შესაბამისი სერვისი; შესაბამისად, თვეების განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების კვების ხარჯებია ამოღებული გავრცელებულ ინფორმაციაში და იმგვარად არის სიუჟეტში ასახული, თითქოს ამ ყველაფერს მხოლოდ ხელმძღვანელი პირები ან ცესკო მოიხმარდა არამართლზომიერად, რაც, ცხადია, არის სრული აბსურდი; ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ე.წ. მკვლევარი, რომელიც მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თითქოს ამ ყველაფერს იკვლევს და რომელმაც ეს მონაცემები დადო, მრავალ ზემოხსენებულ შეხვედრას ესწრებოდა და მისი კვებაც შესაბამისად იყო უზრუნველყოფილი; ამასთან, იგი 2010 წელს იყო საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერი და ძალიან კარგად იცის, რომ არჩევნების მომზადებას ახლავს ხარჯები და ეს ხარჯები არის გაწერილი. ასევე, რამდენადაც ინფორმაციაში ნახსენები იყო, რომ თითქოს მომავალ არჩევნებს არავინ არ აკვირდება, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ცესკო-ში დარეგისტრირებულია 7 სადამკვირვებლო ორგანიზაცია, მათ შორის, რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია.

ამის შემდეგ სიტყვა გადაეცა ქალბატონ შორენა მირცხულავას (ა(ა)იპ „ასოციაცია თავისუფალი თაობის“ დირექტორი), რომელმაც განაცხადა, რომ მისი ორგანიზაცია უკვე 26 წლისაა და ისინი 1999 წლიდან ყველა არჩევნებს აკვირდებიან. მისი თქმით, წინა არჩევნებსაც 650-ზე მეტი პირი აკვირდებოდა მათი ორგანიზაციიდან და ამ არჩევნებზეც იმავე აქტიურობით აპირებენ საქმიანობას.

მედიამონიტორინგის საფუძველზე იდენტიფიცირებული შემდგომი საკითხები შეეხებოდა „ტვ პირველის“ გავრცელებულ ერთგვაროვან ინფორმაციას, რომელშიც, ერთი მხრივ, საუბარია მმართველი პარტიის მიერ თბილისში „უეფა-ს“ სტანდარტების საფეხბურთო სტადიონის აშენების გეგმის თაობაზე და აღნიშნულია, რომ მაშინ, როცა თბილისში ამდენი ინფრასტრუქტურული პროექტია მოსაწესრიგებელი, რატომ იხარჯება ამდენი ფული ერთი სტადიონის ასაშენებლად; ინფორმაციაში, ასევე, ნახსენებია, რომ ზემოდასახელებული გეგმა შესაძლოა, წარმოადგენდეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას; და მეორე მხრივ, საუბარია მმართველი პარტიის მიერ 23 მუნიციპალიტეტში საფეხბურთო ცენტრებისა და ხელოვნურსაფარიანი სტადიონების მშენებლობაზე. ინფორმაციის თანახმად, ოპოზიცია ამ ფაქტს ბიუჯეტის ფულის არამიზნობრივ ფლანგვად მიიჩნევს და აღნიშნულია, რომ ეს ყველაფერი პირდაპირ მორგებულია საარჩევნო გრაფიკზე.

ზემოაღნიშნულ საკითხებზე სასაუბროდ ბატონმა პაატამ სიტყვა გადასცა ქალბატონ მზია გიორგობიანს (ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე). ქალბატონმა მზიამ განაცხადა, რომ რეალურად 70 000 მაყურებელზე გათვლილ სპორტულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადი გასული წლის აპრილში გააკეთა; 2024 წლის მაისში უკვე შედგა უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს და დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები სტადიონის მშენებლობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სათანადო ასიგნებები ვერ მოხვდებოდა საარჩევნო პერიოდით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც იმთავითვე, 2024 წლის ბოლოს, 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების დროს უკვე გათვალისწინებული იყო ბიუჯეტში და შესაბამისი კოდითაა ასახული 2025 წლის განმავლობაში დასახარჯი სპორტული ინფრასტრუქტურისთვის განსაზღვრული თანხის ოდენობა. „უეფას“ სტანდარტების საფეხბურთო სტადიონის აშენებასთან დაკავშირებით ქალბატონმა მზიამ დამატებით აღნიშნა, რომ ეს არ წარმოადგენს უბრალოდ სტადიონს, არამედ იქნება მულტიფუნქციური,

მრავალმხრივი საჭიროებისათვის გამოსაყენებელი შენობა, რომელშიც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ღონისძიების (როგორც სპორტულის, ისე – მუსიკალურის) მასპინძლობა; ყველა აუცილებელი სამუშაო პროცედურები და ყველა დეტალი, გამომდინარე იქიდან, რომ ძალიან კომპლექსური ობიექტის აშენებაზეა საუბარი, „უეფასთან" თანხმდება; შესაბამისად, პროცესში ჩართული იყო სხვადასხვა საერთაშორისო კონსულტანტი, რომელთაც დრო სჭირდებოდათ და საჭირო იყო მთელი სატენდერო პროცედურების მომზადება. სწორედ ამიტომ გამოცხადდა წელს ეს „სიახლე".

რაც შეეხება 23 მუნიციპალიტეტში საფეხბურთო ტექნიკური ცენტრებისა და ხელოვნურსაფარიანი ობიექტების მშენებლობას, ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ გახმიანებული 100 მილიონი არის დაჯამებული თანხა გამოცხადებულ ტენდერებთან მიმართებით, რაც წარმოადგენს 2024 წელს გაცხადებულ ინიციატივას. შესაბამისად, იგი ასახულია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში და მას გააჩნია შესაბამისი პროგრამული კოდი; ასევე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს არის იმ პროგრამის ნაწილი, რომელიც დამტკიცდა საარჩევნო კოდექსის სრული დაცვით. პროგრამის განმახორციელებელია სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდი"; ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის ახალი არ არის მსგავსი ტიპის ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მთელი ქვეყნის მასშტაბით გასული 3 წლის განმავლობაში არაერთი სპორტული ობიექტი აშენდა.

ზემოაღნიშნულ საკითხზე ისაუბრა ბატონმა დავით მათიკაშვილმაც („ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო)", რომელმაც განაცხადა, რომ „ტვ პირველის" კონკრეტულ სიუჟეტში ასახული ყველა პროექტი არის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ხორციელდება არსებული ბიუჯეტის, კანონის და, რა თქმა უნდა, საარჩევნო კანონმდებლობის სრული დაცვით და ობიექტური დამკვირვებელი ვერსად ნახავს კანონის რაიმე ფორმით დარღვევას; სამწუხაროდ, სხვა მოცემულობასთან გვაქვს საქმე – აღნიშნული ტელევიზიისა და მისი მესვეურების მხრიდან გადმოცემული ინფორმაცია არა თუ სცდება რეალობას და ფაქტობრივ უზუსტობებს შეიცავს, არამედ არის ცუდი სურვილების შესაძლო განხორციელების პროექტი, რომელსაც არანაირი შედეგი და რეალიზება არ უწერია; ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება იმისდა მიუხედავად, სახეზეა თუ არა საარჩევნო წელი; პროექტი წარმოადგენს სახელმწიფოს განვითარებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ მიზნებს და ამ სტრატეგიულ მიზნებს საქართველო აუცილებლად მიაღწევს,

სურს ეს „ტვ პირველს“ თუ – არა. ბატონმა დავითმა, ასევე, აღნიშნა, რომ საქართველოში ლამის ყოველ მეორე წელს ტარდება არჩევნები და ხელისუფლება მაქსიმალურად თავსდება კანონის ჩარჩოებში; სახელმწიფო ვერ გააჩერებს ინფრასტრუქტურულ პროექტებს ქვეყანაში არსებული არჩევნების გამო.

შემდეგ სიტყვა გადაეცა ბატონ დანიელ დავითაშვილს (ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე). ბატონმა დანიელმა განაცხადა, რომ ეამაყება სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებაში ქართველ სპორტსმენთა წარმატებები და რამდენადაც სხვადასხვა მასშტაბის სპორტული ღონისძიებები უკვე ტარდება საქართველოში, ახალი სტადიონის თბილისში აშენება კიდევ ერთი შესაძლებლობა იქნება სხვადასხვა დონის შეჯიბრებების საქართველოში ჩასატარებლად.

ბატონი გიორგი ლილუაშვილის (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველო“) თქმით, კანდიდატებმა, რომლებმაც შეიტანეს განაცხადები, ცნობები ვერ მიიღეს. მიზეზად დაასახელა ის, რომ მოსამართლეები იმყოფებიან შვებულებაში და უშუალოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს „მომსახურების სააგენტო“ უნდა არეგულირებდეს აღნიშნული ცნობის გაცემას. როგორც მან აღნიშნა, მისი წარდგენილი კანდიდატებიდან ორი არ არის რეგისტრირებული და სიებს აქვს პრობლემა. მან წარმოადგინა კონკრეტული ორი კანდიდატის პირადობის დამადასტურებელი მოწმობები, რასთან დაკავშირებითაც ისაუბრა ბატონმა გიორგი შარაბიძემ (ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე). მისი თქმით, თუ ამომრჩეველი არ არის სიაში, ამის გამომწვევი კანონმდებლობით გათვალისწინებული ბევრი მიზეზი შეიძლება არსებობდეს. ამის გადამოწმება შესაძლებელია სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში“. შესაბამისად, ამომრჩევლებს შეუძლიათ, მიმართონ აღნიშნულ სააგენტოს და გაიგონ სტატუსი. ბატონმა პაატა სალიამ აღნიშნა, რომ ბატონი გიორგის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობებიდან ერთ-ერთის მოქმედების ვადა გასულია, რაც, ბუნებრივია, წარმოადგენს ხარვეზს.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, გიორგი ლილუაშვილის მიერ წამოჭრილ ახალ საკითხებს კომისია მიიღებს განსახილველად და სიტყვა გადასცა ბატონ ალექსანდრე დარახველიძეს (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე). მან ბატონი გიორგის საპასუხოდ

აღნიშნა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს „მომსახურების სააგენტოს“ აქვს განსაზღვრული ვადები და ამ ვადებში გაიცემა ცნობა, თუმცა, თუ არსებობს კონკრეტული ინფორმაცია, რომ პირის მიმართ შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა სახის ჩანაწერი, რომელიც გულისხმობს, რომ პირი შეიძლება იყოს ნასამართლევი ან კანონით განსაზღვრული სხვა შემთხვევები, ამ ვადაში ცნობა ვერ გაიცემა, რადგან უნდა გადამოწმდეს ყველა გარემოება და შემდგომ გაიცეს ცნობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ბატონმა შოთა მაქაცარიამ (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“). მისი თქმით, კონკრეტულ მოსამართლეს არ ეწერება საქმე. თუ პირმა სასამართლოს მიმართა საქმისწარმოების ცნობასთან დაკავშირებით, კანცელარია მაქსიმუმ 24 საათში გასცემს შესაბამის ინფორმაციას, თუმცა, ფოსტით შეტყობინება არ ხდება, ვინაიდან რეგულირდება შიდა დადგენილებებით. ცნობის აღება ხდება კანცელარიაში.

კომისიის თავმჯდომარემ განაგრძო მედიამონიტორინგით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხზე საუბარი – ტელეკომპანია „ტვ პირველის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე, სადაც ნათქვამია, რომ სხვადასხვა ქალაქსა და მუნიციპალიტეტში პარტიული მიზნით სახელწმიფო ბიუჯეტი დაიხარჯა კონცერტებისა და გასართობი ღონისძიებების მოსაწყობად. აღნიშნულ საკითხზე სასაუბროდ სიტყვა გადაეცა ნიკოლოზ როსებაშვილს (საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი).

მისი თქმით, სიუჟეტში გახმიანებული 2 საკითხია მთავარი, კერძოდ, წინასაარჩევნოდ მუნიციპალიტეტებში კონცერტების გამართვა, რომელიც ემთხვევა საარჩევნო პერიოდს და მეორე, თუ რა წესით იგეგმება კონცერტები ან სხვა გასართობი ღონისძიებები მუნიციპალიტეტებში. როგორც ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოადგენდა მუნიციპალიტეტების პოზიციასაც. მუნიციპალიტეტებში კონცერტის გამართვის და სხვა მსგავსი ღონისძიებების ჩატარების პრაქტიკა წელს არ დაწყებულა და დიდი ხანია, ხორციელდება. როგორც წესი, წელიწადში ორჯერ – საახალწლო და საზაფხულო პერიოდებში იმართება მსგავსი ღონისძიებები, მაშინ, როდესაც რეგიონებში  უფრო მეტი კონცენტრაციაა როგორც მოსახლეობის, ისე ტურისტების. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტებს წლის დასაწყისში გათვალისწინებული აქვთ შესაბამისი პროგრამული კოდით, რომელიც ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტების მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტებში,

მათ შორის, სიუჟეტში ხსენებულ მუნიციპალიტეტებს 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტებში აქვთ განსაზღვრული შესაბამისი ღონისძიებები და მათი ხარჯებიც. რაც შეეხება მეორე საკითხს, თუ რა კრიტერიუმებით ტარდება ღონისძიებები თუ კონცერტები, მათ შორის, მომღერლების/ბენდის არჩევა, არსებობს შემდეგი პრაქტიკა: ფოთის, ისევე, როგორც სხვა მუნიციპალიტეტებში, არსებობს ახალგაზრდული საბჭოები, რომლებიც მუნიციპალიტეტებს მიმართავენ სხვადასხვა ინიციატივით. ამ ინიციატივებში შედის საზაფხულო სეზონზე საკონცერტო თუ სხვა კულტურული ღონისძიებებიც. ახალგაზრდული საბჭო ატარებს გამოკითხვებს და შეჯერებულ ინფორმაციას უგზავნის მუნიციპალიტეტს შემდგომ ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. ბატონმა ნიკოლოზმა კვლავ აღნიშნა, რომ წლის დასაწყისში განისაზღვრება ბიუჯეტში შესაბამისი ღონისძიებები და ეს ხდება უკვე წლებია. შესაბამისად, საარჩევნო კოდექსის დარღვევა, როგორც ამ სიუჟეტშია ნახსენები, არ იკვეთება.

ბატონმა პაატა სალიამ ისაუბრა შემდეგ საკითხზე, რომელიც ეხება ტელეკომპანია „მთავარის" მირ გავრცელებულ ინფორმაციას (დუშეთის მერობის კანდიდატი კახაბერ ჩიტაური ფიზიკურად გაუსწორდა ჭონქაძის თემის დამოუკიდებელ კანდიდატ გოგიტა თანიაშვილს). აღნიშნულ საკითხზე სიტყვა გადაეცა ალექსანდრე დარახველიძეს (საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე).

ბატონი ალექსანდრეს თქმით, 2025 წლის 20 აგვისტოს სოციალურ ქსელ Facebook-ის პირად გვერდზე პარტია „ახალი დუშეთის რაიონული ორგანიზაციის" თავმჯდომარე ზურა ოტიაშვილმა განცხადება გაავრცელა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების" მიერ წარმოდგენილი დუშეთის მერობის კანდიდატ კახაბერ ჩიტაურს, ამავე პარტიის წევრ მამუკა შერმადინსა და ჭონქაძის თემის დამოუკიდებელ კანდიდატ გოგიტა თანიაშვილს შორის მომხდარი დაპირისპირების შესახებ. აღნიშნულ დაპირისპირებაზე სოციალურ ქსელ Facebook-ში გავრცელებული ინფორმაციის თაობაზე დუშეთის რაიონული სამმართველოს დეტექტივის პატაკის საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტროს დუშეთის რაიონულ სამმართველოში დაიწყო ადმინისტრაციული საქმისწარმოება. სამართალწარმოების ფარგლებში გოგიტა თანიაშვილს, მამუკა შერმადინსა და კახაბერ ჩიტაურთან შედგა გასაუბრების ოქმები, მათ უარყვეს აღნიშნული ფაქტი და განაცხადეს, რომ არის სიცრუე. ამ შემთხვევაში, მაინც მიმდინარეობს სამართალწარმოება, გარდა ამისა, თავად სიუჟეტშივე საუბრობენ ეს პირები, რომ აღნიშნული ფაქტი არის სიცრუე.

ბატონმა პაატა სალიამ ისაუბრა დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხებზე, რომლებიც ეხება ქალბატონი ხატია დეკანოიძის მიერ სოციალურ ქსელ Facebook-ზე გამოქვეყნებულ პოსტს, სადაც საუბარია არჩევნების გაყალბების მექანიზმზე და თითქოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს ითხოვს ხალხისგან და სოფლებში დასაქმებულების ხელმოწერებს აგროვებს; ასევე, ტელეკომპანია „ტვ პირველზე" სოფო ხორგუანის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე, თითქოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან ადგილი აქვს ამომრჩეველთა დაშინებას, მოსყიდვას და ა.შ.

ამ საკითხებზე კომენტარის გასაკეთებლად სიტყვა გადაეცა ბატონ ბექა ზეგარდელს (საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი). მან აღნიშნა, რომ მოცემულ განცხადებებში ასახული ინფორმაცია მოკლებულია ობიექტურ საფუძვლებს და მხოლოდ ვარაუდებს ემყარება.

ბატონი პაატა სალიას თქმით, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც გარკვეული პოლიტიკოსები და ტელეკომპანიები აკეთებენ განცხადებებს, სადაც საუბარია პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ჩამორთმევაზე, ამომრჩეველთა იძულებაზე და ა.შ. თუმცა, არცერთი არჩევნების შემდგომ ამგვარი ხალხი არსად არ ჩანს და, შესაბამისად, მიმართვიანობაც არ არის სამართალდამცავი ორგანოებისადმი. მისი თქმით, სულ ეს იყო, ძირითადად, ის საკითხები, რაც მედიამონიტორინგის შედეგად დაიდენტიფიცირდა. იუსტიციის სამინისტრო კვლავ გააგრძელებს მედიამონიტორინგს და, შესაბამისად, მსგავსი საკითხების არსებობის შემთხვევაში, მომდევნო სხდომაზე აუცილებლად განიხილება.

კომისიის თავმჯდომარე შეეხო წინა კომისიის სხდომაზე ბატონი გიორგი ლილუაშვილის (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველო") მიერ წამოჭრილ საკითხს, რომლის თანახმადაც, საჯარო რეესტრში არ იყო დაცული ინფორმაცია პარტიების მიერ ჩატარებული ყრილობების შესახებ. ამასთან დაკავშირებით კომისიის სამდივნომ გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, არ არის სავალდებულო, ყველა ყრილობის შესახებ ოქმი იქნეს წარდგენილი საჯარო რეესტრში. რეგისტრაციისთვის კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ და მხოლოდ იმგვარი ცვლილებების წარდგენის აუცილებლობას, რაც რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებს განაპირობებს. შესაბამისად, ძალიან ბევრ პარტიას აქვს ჩატარებული ყრილობები, რომელთა ოქმებიც მოსული არ არის, მაგრამ,

სავარაუდოდ, ამ ოქმებში არ იყო სავალდებულო მონაცემების ცვლილებების რეგისტრაცია და ამიტომაც არ ხდება ამ ოქმების წარდგენა. წინა კომისიის სხდომაზე საუბარი იყო პარტია „გირჩზე". მოძიებულ იქნა შესაბამისი ინფორმაცია. წარმოდგენილია მხოლოდ იმ ყრილობების ოქმები, სადაც ხდებოდა ხელმძღვანელი პირების ცვლილება. სხვაგვარი ოქმები არ ყოფილა წარმოდგენილი. საინტერესოა ისიც, რომ 2018 წლის შემდეგ პარტიის ხელმძღვანელი უვადოდ იქნა არჩეული. აქედან გამომდინარე, რაიმე დარღვევას, რაზეც ბატონი გიორგი ლილუაშვილი მიუთითებდა, ადგილი არ ჰქონია.

შემდგომ, სიტყვა გადაეცა ბატონ დავით ლილუაშვილს (ა(ა)იპ „დემოკრატიისა და უფლებების დაცვის ცენტრის" წარმომადგენელი). მან აღნიშნა, რომ 2013 წლიდან ესწრება კომისიის სხდომებს, სადაც იყო საჯარო მოსამსახურეების მიმართ საარჩევნო კოდექსის დაცვისთვის განცხადებების, რეკომენდაციებისა და მოწოდებების გაკეთების ერთგვარი პრაქტიკა; ასევე, კეთდებოდა განცხადებები/მოწოდებები საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების, მათი მხარდამჭერების მიმართ, რომ დაეცვათ საარჩევნო კანონმდებლობა და უფრო მეტიც, სისხლის სამართლის კანონმდებლობა. გარდა ამისა, იქმნებოდა გარკვეული ვიდეოები, რომლებიც დარღვევების პრევენციას ემსახურებოდა და ა.შ. ბატონმა დავითმა კითხვით მიმართა კომისიის თავმჯდომარეს – ხომ არ აპირებდა კომისია ამგვარი მოწოდებებისა და განცხადებების კვლავ გაკეთებას.

ბატონი პაატა სალიას თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა, ინფორმაცია გაგზავნილია საჯარო მოხელეებთან. შესაბამისად, საჯარო მოხელეები ინფორმირებულნი არიან.

ბატონმა გრიგოლ გაგნიძემ (ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის" წარმომადგენელი) წარმატებები უსურვა კომისიის თავმჯდომარეს. მან გაახმიანა გაზეთ „ალიანსის" 30 აგვისტოს სტატიაში გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებული დაპირება („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი გიორგი მუმლაძე რეჟიმის მხრიდან მოკლული ადამიანების ოჯახებს ჰპირდება მილიონ ლარს). ვრცელ სტატიაში არის აღწერილი ტარიფები. ბატონმა გრიგოლმა აღნიშნული სტატიის შესახებ ინფორმაცია გადააგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროში. მას აინტერესებს – ტარდება თუ არა რაიმე სახის პრევენციული ღონისძიება ამასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარის თქმით, თუ ეს განცხადება შეიცავს სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნებს, სამართალდამცავი ორგანოები აუცილებლად დაინტერესდებიან და გატარდება შესაბამისი ღონისძიებები. მისივე თქმით, გაეცნობა აღნიშნული განცხადების შინაარსს.

როგორც ბატონმა დანიელ დავითაშვილმა (ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის" თავმჯდომარე) აღნიშნა, გახმიანებული საკითხებიდან ნათლად ჩანს, რომ ძალზედ მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს არჩევნები მისი გამოცხადების დღიდან. ამასთან, კარგი იქნება, თუ კომისიაზე დამსწრე საარჩევნო სუბიექტები წარმოადგენენ მხოლოდ ისეთ საკითხებს, რომელთა განხილვასაც ითვალისწინებს აღნიშნული კომისია.

სხდომის დასასრულს, კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ კომისიას აქვს განსაზღვრული წესები, რომლის ეფექტურად მუშაობისთვისაც მნიშვნელოვანია კომისიის სამდივნოს წერილობით დროულად, წინასწარ მიეწოდოს ინფორმაცია და არა უშუალოდ სხდომაზე. განისაზღვრა მომდევნო კომისიის სხდომის ჩატარების თარიღიც, რაც საორიენტაციოდ იქნება 16 სექტემბერი, 14:00 სთ. ამ დროისთვის დასრულებული იქნება საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია.

მან მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს კომისიის მუშაობაში ჩართულობისთვის და ყველას უსურვა წარმატებები.

სხდომა დასრულდა 18:05 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: პაატა სალია

კომისიის მდივანი: ლანა მორგოშია